ISSN 1512-1801

უაკ - 371

განათლების სისტემა აფხაზეთში

(თანამედროვე პერიოდი)

ანა ტივაძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილია ჭავჭავაძის გამზ. № 1. თბილისი, საქართველო

ანოტაცია:

სტატიაში განხილულია საქართველოს ოკუპირებული რეგიონის - აფხაზეთის დღევანდელი განათლების სისტემა. უფრო ზუსტად კი, სტატია მიმოიხილავს თანამედროვე აფხაზეთის განათლების სექტორს, რომელიც წარმოდგენილია სკოლამდელი, ზოგადი, საშუალო პროფესიული და უმაღლესი პროფესიული განათლებით. განხილულია აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი საგანმანათლებლო დაწესებულებები, მათი ტიპები, სასწავლო დისციპლინები, ვადები. გადმოცემულია განათლების სფეროს მარეგულირებელი „ოფიციალური“ დოკუმენტებიდან ძირითადი დებულებები. განხილულია განათლებისა და მეცნიერების სფეროს მმართველი/მაკონტროლებელი ფორმალური ორგანოს „აფხაზეთის რესპუბლიკის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს“ სტრუქტურა. მოყვანილია სასწავლო დაწესებულებებისა და მათი მოსწავლეების, სტუდენტების, საბავშვო ბაღის აღსაზრდელების შესახებ სტატისტიკული მაჩვენებლები (შესაბამისი წყაროს მითითებით) და ა.შ.

გარდა ამისა, ნაშრომში აქცენტია გაკეთებული იმ სირთულეებსა და საჭიროებებზე, რომელსაც თავად აფხაზური მხარე ხედავს განათლების სფეროში და აქედან გამომდინარე, განხილულია მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მათ მიერ დასახული მიზნები და ამოცანები.

კვლევა ემყარება განათლების დარგში მიღებულ აფხაზურ ე.წ. „ოფიციალურ“ დოკუმენტებს, ასევე, ინტერვიუებს სფეროს წარმომადგენლებთან, ცალკეულ ვებ-გვერდებს (ქართულს/ აფხაზურს) და სხვა.

საკვანძო სიტყვები: *განათლება აფხაზეთში, სკოლამდელი განათლება, საშუალო განათლება, უმაღლესი პროფესიული განათლება.*

შესავალი

1993 წელს აფხაზეთში კონფლიქტის დასრულების შემდეგ თვითგამოცხადებულმა აფხაზეთის ე.წ. მთავრობამ მიიღო რუსულ საგანმანათლებლო სტანდარტებზე გადასვლის გადაწყვეტილება (Сайт Абхазии).

თუმცა, დღეს როგორც თავად აფხაზები აღნიშნავენ განათლების სისტემა აფხაზეთში საბჭოთა სისტემის დონეზეა. ცვლილებები ძალიან ნელა და მტკივნეულად ხდება. ეს განპირობებულია სპეციალისტების ნაკლებობით განათლების დარგში და დაბალი მატერიალური ბაზით. თუმცა, რეფორმები ეტაპობრივად გრძელდება და იწყება სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებებით (Сайт Абхазии).

ISSN 1512-1801

განათლების დარგში „სახელმწიფო“ პოლიტიკა ეფუძნება „აფხაზეთის რესპუბლიკის“ ძირითად საკანონმდებლო დებულებებს - „აფხაზეთის რესპუბლიკის კონსტიტუციას“, რომელიც აძლევს მოქალაქეებს განათლების მიღების უფლებას (Конституция Республики Абхазия 1994, 2).

აფხაზური კანონმდებლობით, განათლებისა და სწავლების “ოფიციალური” ენა აფხაზური და რუსულია. თუმცა, აფხაზეთის სხვა ეროვნების მოქალაქეს უფლება აქვს განათლება მშობლიურ ენაზე მიიღოს (Закон Республики Абхазия 2007, 3-4).

ე.წ. „აფხაზეთის რესპუბლიკის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო“ წარმოადგენს „აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ცენტრალურ ორგანოს“, რომელიც ატარებს „სახელმწიფო“ პოლიტიკას და ახორციელებს განათლებისა და მეცნიერების სფეროს მართვას (Министерство Образования и Науки Республики Абхазия).

აღნიშნული „სამინისტროს“ მართავს ე.წ. განათლების მინისტი. ამჟამად, ადგურ კაკობა, რომელსაც ჰყავს პირველი მოადგილე - დიმიტრი გვარამია და მოადგილე - მედეა ჩენგელია, რომელიც ამავდროულად არის „სამინისტროს“ განათლების განვითარების განყოფილების უფროსი (Министерство Образования и Науки Республики Абхазия).

„სამინისტროში“ ფუნქციონირებს შემდეგი განყოფილებები და ქვე-განყოფილებები:

<u>განათლების განვითარების განყოფილება</u>
- განათლების ხარისხის კონტროლის განყოფილება
- სასწავლო წიგნების გამოცემის მართვის განყოფილება
- ზოგადი და პროფესიული განათლების განყოფილება
- სასწავლო წიგნების რეცენზირებისა და კონტროლის განყოფილება
- ფიზიკური აღზრდის განყოფილება (Министерство Образования и Науки Республики Абхазия).

<u>ადმინისტრაციულ- ფინანსური განყოფილება</u> (ხელმძღვანელი ენვერ ჩამაგუა)

- საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილება
- კადრების და საქმისწარმოების განყოფილება
- იურიდიული განყოფილება
- დაგეგმვისა და საბუღალტრო საქმის განყოფილება (Министерство Образования и Науки Республики Абхазия).

ზოგადად, განათლება აფხაზეთში შემდეგი სექტორებითაა წარმოდგენილი: სკოლამდელი განათლება, ზოგადი (სრული საშუალო და არასრული საშუალო), საშუალო პროფესიული და უმაღლესი პროფესიული განათლება (Центр Стратегических Исследований при Президенте Республики Абхазия 2015, 33).

სკოლამდელი განათლება აფხაზეთში

სკოლამდელი განათლება აფხაზეთში 2- დან 5- წლამდე ბავშვების განათლებას/აღზრდას გულისხმობს.

ISSN 1512-1801

სკოლამდელი დაწესებულებების რაოდენობა 2015 წლის სტატისტიკით შემდეგია:

3.1.1 Основные показатели образования (на конец года)								
	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
Число дошкольных образовательных учреждений	23	23	24	25	27	31	36	36
Численность детей, чел.	2072	2264	2530	2730	3156	3448	4078	4390

წყარო: „Управление Государственной Статистики Республики Абхазия“ (2015 წლის სტატისტიკა)

აფხაზური მხარის ინფორმაციით, 2010-2012 წლებში დაიწყო სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების აღდგენის პროცესი. გამოიყო განათლების სფეროზე გამოყოფილი ბიუჯეტის დაახლოებით 47%, რამაც გაზარდა ბავშვებისა და საბავშვო ბაღების რაოდენობა. თუმცა, დღემდე პრობლემად რჩება არასაკმარისი საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებების პრობლემა, რაც უარყოფით გავლენას ახდენს საშუალო განათლების ხარისხზე შემდგომში (Центр Стратегических Исследований при Президенте Республики Абхазия 2015, 33-34).

საბავშვო ბაღი აფხაზეთში არის ე. წ. „სახელმწიფო“ ტიპის, თუმცა სოხუმში ლიცენზიის გარეშე ფუნქციონირებს კერძო ბაღებიც.

ადგურ კაკობას, 2016 წელს გაკეთებული განცხადებით, აფხაზეთში 36 „სახელმწიფო“ ბაღი ფუნქციონირებს. როგორც ის აღნიშნავს, სკოლამდელი დაწესებულებების ეს რაოდენობა საკმარისი არ არის და სიტუაცია გართულებულია ამ მხრივ არა მხოლოდ სოხუმში, არამედ გუდაუთაში და გაგრაში. კერძო ბაღების საქმიანობასთან დაკავშირებით კაკობა აღნიშნავს, რომ არცერთ კერძო საბავშვო ბაღს, რომელიც სოხუმში ფუნქციონირებს, ე.წ. „განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან“ ლიცენზია არ მიუღიათ. "ქალაქში არსებობს კერძო ბაღები, რომლებიც საბავშვო ბაღებში არ არის დარეგისტრირებული. განათლების სამინისტროში ეს დაწესებულებები ლიცენზიას არ იღებდნენ. მშობლები იხდიან ამ საბავშვო ბაღებში იხდიან არცთუ ისე მცირე თანხას: 10-დან 15 ათასამდე რუბლს თვეში. სოხუმში 8 კერძო ბაღია. საგანმანათლებო პროცესი მიმდინარეობს 3-ში, დანარჩენ 5-ში მოქმედებს ძიძის მომსახურება“ - საუბარია ინტერვიუში (ApsnyLIFE 2016).

რაც შეეხება საბავშვო ბაღებს გალის რაიონში სულ რვა სკოლამდე სააღმზრდელო დაწესებულება ფუნქციონირებს აქ. ოთხი ე.წ. მაღალ, ამდენივე კი დაბალ ზონაში. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ეს რაოდენობა საკმარისი არ არის, რადგან საჭიროება გაცილებით მეტია (Livepress.ge 2017).

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ გალის რაიონის არცერთ სკოლამდელ დაწესებულებაში (გალის (2), საბერიოს (2), მზიურის, ოქუმის, სიდის და ზემო ბარღების საბავშვო ბაღები) სასწავლო პროცესი ქართულ ენაზე დაშვებული არსად არ არის (ზურაბაშვილი 2016, 14).

ISSN 1512-1801

საშუალო ზოგადი განათლება

აფხაზეთის ე.წ. „განათლების სახელმწიფო სისტემა“ დაფუძნებულია საყოველთაო, სავალდებულო (განსაზღვრულ ფარგლებში) სწავლების პრინციპზე. პირველიდან მეცხრე კლასამდე შესაძლებელია არასრული საშუალო განათლების მიღება. ხოლო, სრული საშუალო განათლება მოიცავს 11 კლასის განათლებას. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულები იღებენ ატესტატს (Национальный Информационный Центр).

აფხაზეთის საშუალო განათლების სისტემაში მუშაობს 169 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა (40 ქალაქის და 129 სოფლად) (Сухум-Курорт: Информационный Сайт Абхазии).

სკოლები იყოფა 3 ტიპად: ზოგადი (სრული) საშუალო განათლება - 149 სკოლა (1-დან 11 კლასის ჩათვლით). სკოლები სადაც მოსწავლე იღებს არასრულ საშუალო განათლებას (1-დან 9 კლასის ჩათვლით) - 15. მხოლოდ დაწყებითი განათლების 5 სკოლა (1-დან 4 კლასის ჩათვლით) (Национальный Информационный Центр).

აფხაზური წყაროს 2012 წლის სტატისტიკური მონაცემებით, აფხაზეთში ფუნქციონირებს 62 - აფხაზური სკოლა. 16 - აფხაზურ-რუსული; 48- რუსული; სომხური - 32; ქართული - 11 (ზურაბაშვილი 2016, 13). თუმცა, 2015 წლიდან გალის 11 ქართულენოვან სკოლაშიც სწავლება რუსულ ენაზე გადაკეთდა (ბასილაია 2016).

სასკოლო დისციპლინებიდან განსაკუთრებული აქცენტი კეთდება „აფხაზეთის ისტორიის“, „აფხაზეთის გეოგრაფიის“, „აფხაზური ენის“ სწავლებაზე. აფხაზეთის უფროსი კლასის მოსწავლეებს ბიბლიოთეკაში მხოლოდ ამ სამი წიგნის მიღების საშუალება აქვთ. „აფხაზეთის ისტორიაზე, ფოლკლორზე და ლიტერატურაზე ბევრი წიგნები იბეჭდება, გაცილებით მეტი ერთ სულ მოსახლეზე, ვიდრე ჩვენთან. დანარჩენებს მშობლები ყიდულობენ ბავშვებს“ - აღნიშნულია ერთ-ერთ ინტერვიუში. სასკოლო წიგნების საშუალო ფასები ასეთია: ახალი სახელმძღვანელოები 500-600 რუბლამდე (21-25 ლარი) ღირს, ხოლო გამოყენებული წიგნების ფასი 300-400 (12-16 ლარი) რუბლია (ნეტგაზეთი 2017).

გალის რაიონის სკოლები

1992-1993 წლების სამხედრო მოქმედებებამდე, გალის რაიონის ტერიტორიაზე 58 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება მოქმედებდა, სადაც 13180 მოსწავლეს 1638 მასწავლებელი ემსახურებოდა. ომის შემდგომ სპონტანურად დაბრუნებულმა მოსახლეობამ, საკუთარი ინიციატივით, 31 სკოლაში მოახერხა სასწავლო პროცესის აღდგენა, სადაც დღეის მონაცემებით, 4428 მოსწავლე და 749 მასწავლებელი ირიცხება (ზურაბაშვილი 2016, 6).

ISSN 1512-1801

ცხრილი #1: მოსწავლეთა, მასწავლებელთა და ტექნიკური პერსონალის რაოდენობა წლების მიხედვით

	2005-2006	2006-2007	2007-2008	2008-2009	2009-2010	2010-2011	2011-2012	2012-2013	2013-2014	2014-2015	2015-2016
მოსწავლე	4247	3898	3852	4212	4214	4213	4220	4380	4431	4446	4428
მასწავლებელი	612	627	657	736	742	756	735	742	747	749	749
ტექპერსონალი	130	129	137	149	149	155	161	158	154	162	164

წყარო: გალის რესურსცენტრი

წყარო : საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS).

გარკვეული პერიოდის შემდეგ, გალის რაიონის 20 სკოლა მთლიანად რუსულ სწავლებაზე გადაიყვანეს. ამ სკოლებში, ქართულ ენაზე სწავლების შეზღუდვა 1995 წელს დაიწყო და 2008 წლის შემდეგ გალის რაიონის ტერიტორიაზე თანდათან მოხდა 20 სკოლის ტრანსფორმირება და მათ მიენიჭა რუსული სკოლის სტატუსი. დანარჩენ 11 სკოლაში კი, როგორც უკვე აღინიშნა 2015-2016 სასწავლო წლიდან, სწავლება რუსულად გადაკეთდა (ბასილაია 2016). 1-დან 4 კლასის ჩათვლით ყველა საგანი მთლიანად რუსულ ენაზე ისწავლება და ქართულ ენას გამოეყოფა მხოლოდ 3 საათი. 5-7 კლასებში სწავლა ნახევრად რუსულად და ნახევრად ქართულადაა. 8-11 კლასებში საგნები მთლიანად რუსულად ისწავლება და ქართული ენას 2 საათი აქვს დათმობილი - ერთი ენას და ერთი ლიტერატურას. დე- ფაქტო აფხაზეთის განათლების მინისტრის მოადგილემ დიმიტრი გვარამიამ სააგენტო "სპუტნიკთან" საუბრისას განაცხადა, რომ 2-3 წელიწადში გალის დაბალი ზონის ყველა სკოლა აფხაზურ საგანმანათლებლო სისტემაზე გადავა. გვარამიას ინფორმაციით, პირველ ეტაპზე ცვლილებები თერთმეტივე სკოლის სასწავლო პროგრამაში შევა (ბასილაია 2016). მიზეზად მან დაასახელა ის, რომ აქამდე გალის დაბალის ზონის სკოლებში საქართველოს განათლების დეპარტამენტის სასწავლო პროგრამა მოქმედებდა, ვრცელდებოდა ქართული იდეოლოგია რაც მისი აზრით საფრთხეს უქმნის მათ „სახელმწიფოს“ და ასევე რის გამოც "ბავშვები მკაფიოდ იყვნენ ორიენტირებული განათლების საქართველოში მიღებაზე" (ბასილაია 2016).

ამგვარი დისკრიმინაციული პოლიტიკა მძიმე მდგომარეობაში აყენებს გალის მაცხოვრებლებს. როგორც გალის რესურსცენტრის ხელმძღვანელი ნონა შონია აცხადებს, აფხაზური ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, ვითარება ძალიან შეიცვალა, რამაც ხარისხიანი განათლების მიღება გაართულა და მასწავლებლებისა და მოსწავლეების უფლებები შელახა. ის აღნიშნავს, რომ საგნების იძულებით რუსულად სწავლებამ მოსწავლეების აკადემიურ ხარისხზეც ძალიან ნეგატიურად იმოქმედა (ბასილაია 2016). „... საგნების ახსნა მასწავლებლებსაც უჭირთ ენის სრულფასოვნად არ ფლობის გამო და გაკვეთილის გაგება უჭირთ მოსწავლეებსაც. ამიტომ მასწავლებლები საკუთარი სამსახურისა და სიცოცხლის ფასად ცდილობენ ბავშვებს საგნები ქართულად, ქართული წიგნებით, მალულად ასწავლონ“ - აღნიშნულია განცხადებაში (ბასილაია 2016).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აფხაზური კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები განათლების მშობლიურ ენაზე მიღებასთან დაკავშირებით, მეტნაკლებად უზრუნველყოფილია აფხაზეთში მცხოვრები სხვა ეთნიკური ჯგუფებისთვის; აფხაზების მიერ, 2011 წელს ჩატარებული სტატისტიკური აღწერის მონაცემებით, ეთნიკური ქართველების რაოდენობა 46000, ხოლო სომხების 42000-ია. მოსახლეობის რიცხობრივი უპირატესობის მიუხედავად, სომხურენოვანი სკოლების რაოდენობა სამჯერ აღემატებოდა ქართულენოვანი სკოლების რაოდენობას. სომხურენოვანი სკოლების

ISSN 1512-1801

შემთხვევა აბათილებს აფხაზური და რუსული მხარის არგუმენტებს და ცხადყოფს, რომ ქართველები, აფხაზეთში მცხოვრებ სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან შედარებით დისკრიმინაციულ მდგომარეობაში იმყოფებიან (ზურაბაშვილი 2016, 14).

კერძო სკოლები, ლიცეუმები, სკოლა-ინტერნატები:

აფხაზეთში ფუნქციონირებს ორი „არასახელმწიფო“ კერძო სკოლა (“Альфа” და “Свет” (სოხუმში)) (Сухум-Курорт: Информационный Сайт Абхазии).

ლიცეუმებიდან და სკოლა-ინტერნატებიდან ცნობილია: აფხაზეთის სახელმწიფო ლიცეუმ-ინეტრნატი, გაგრის სკოლა-ინტერნატი, ოჩამჩირის სკოლა-ინტერნატი, კალდახუარის სკოლა-ინტერნატი (Сухум-Курорт: Информационный Сайт Абхазии). აღნიშნულ სკოლა-ინეტრნატებში ძირითადად იღებენ ისეთ ბავშვებს ვისაც მშობლები ომში დაეღუპათ. ასევე, მრავალშვილიანი ოჯახის ან ხელმოკლე მშობლების ბავშვებს (Пачулия 2011).

2016 წლის სტატისტიკა, მოსაწავლეთა რაოდენობის შესახებ აღნიშნულ სკოლა-ინტერნატებსა და ლიცეუმ-ინტერნატებში შემდეგია:

წყარო: Sputnik Абхазия

საშუალო პროფესიული განათლება

საშუალო პროფესიული განათლების პროგრამები აფხაზეთში ხორციელდება შემდეგ სასწავლო დაწესებულებებში : ბ. გ. კეხირიპას სახელობის გაგრის ჰუმანიტარულ - სამრეწველო ტექნიკუმში; აფხაზეთის მრავალპროფილიან კოლეჯში; სოხუმის “სახელმწიფო” კოლეჯში; გალის ჰუმანიტარული კოლეჯში; სოხუმის ჰუმანიტარულ - ეკოლოგიურ კოლეჯში; სოხუმის სამედიცინო კოლეჯში; ტყვარჩელის ჰუმანიტარულ-სამრეწველო კოლეჯში; გაგრის სამედიცინო სასწავლებელში; ა.ჩ. ჩიჩბას სახელობის სოხუმის მუსიკალურ სასწავლებელში; ა.კ. ჩაჩბას სახელობის სოხუმის სამხატვრო სასწავლებელსა და სოხუმის კულტურის “სახელმწიფო” სასწავლებელში.

<u>ბ. გ. კეხირიპას სახელობის გაგრის ჰუმანიტარულ - სამრეწველო ტექნიკუმი</u> 1995 წელს დაფუძნდა (AMILAT info).

სწავლება მიმდინარეობს შემდეგ სპეციალობებში:

- დაწყებითი კლასების მასწავლებელი
- საბავშვო ბაღის პედაგოგი

ISSN 1512-1801

- სასტუმროს მენეჯერი
- ტურიზმი
- იურისპრუდენცია
- საზოგადოებრივი კვების ობიექტების ტექნოლოგია
- ეკონომიკა, ბუღალტერია
- სახელმწიფო და მუნიციპალური მართვა (AMILAT info).

სწავლების ხანგრძლივობა განისაზღვრება 1 წელი და 10 თვით (9-11 კლასების ბაზაზე).
სწავლების ფორმა: დასწრებული და დაუსწრებელი.
სწავლა ფასიანი.
ტექნიკუმი უზრუნველყოფილი საერთო საცხოვრებლით (AMILAT info).

<u>აფხაზეთის მრავალპროფილიანი კოლეჯი</u> 1959 წელს დაარსდა როგორც სოხუმის სავაჭრო-კულინარიული სასწავლებელი. 1999 წელს შეიცვალა სახელი და ეწოდა აფხაზეთის მრავალპროფილიანი კოლეჯი (AMILAT info).

სწავლება მიმდინარეობს შემდეგ სპეციალობებში:

- კულინარია (ევროპული და აფხაზური სამზარეულოს შესწავლა)
- მზარეულ-კონდიტერი
- მიმტან-ბარმენი
- ბუღალტრული აღრიცხვა
- ეკონომიკა და ბუღალტერია
- საბანკო საქმე
- საგადასახადო საქმე
- საზოგადოებრივი კვების ობიექტების ტექნოლოგია (AMILAT info).

სწავლის ხანგრძლივობა: 1 წლიდან 2 წლამდე (9-11 კლასის ბაზაზე).
სწავლების ფორმა: დასწრებული და დაუსწრებელი.
სწავლა უფასოა (AMILAT info).

<u>სოხუმის „სახელმწიფო“ კოლეჯი</u> ერთ-ერთი ძველი სასწავლო დაწესებულება აფხაზეთში. 1904 წელს გაიხსნა როგორც დამოუკიდებელი სასწავლებელი და შემდეგ შეუერთდა სოხუმის ინდუსტრიულ ტექნიკუმს (AMILAT info).

ამჟამად სოხუმის „სახელმწიფო“ კოლეჯი ამზადებს სტუდენტებს სხვადასხვა სპეციალობებში:

- საავტომობილო ტრანსპორტის ტექნიკური მომსახურება/ შეკეთება
- რადიო კომუნიკაცია, მაუწყებლობა და ტელევიზია
- სასტუმროს მომსახურება
- საბანკო საქმე
- ეკონომიკა და ბუღალტრული აღრიცხვა
- შენობა-ნაგებობების მშენებლობა და ექსპლუატაცია
- სამოქალაქო და სამრეწველო შენობა-ნაგებობების ელექტრო ინჟინერია (AMILAT info).

სწავლის ხანგრძლივობა: 3 წელი. (9-11 კლასის ბაზაზე)
სწავლების ფორმა: დასწრებული და დაუსწრებელი.
სწავლა ფასიანია (AMILAT info).

ISSN 1512-1801

გალის ჰუმანიტარული კოლეჯი 1999 წელს შეიქმნა და ამჟამად, აქ სწავლება მიმდინარეობს შემდეგ სპეციალობებში:
- დაწყებითი კლასების მასწავლებელი
- ავტომექანიკა - მექანიკოსი
- მზარეულ-კონდიტერი
- ბუღალტერი (AMILAT info).
სწავლის ხანგრძლივობა: 1-დან 3 წლამდე (9-11 კლასის ბაზაზე).
სწავლების ფორმა: დასწრებული.
სწავლა ფასიანი (AMILAT info).

სოხუმის ჰუმანიტარულ - ეკოლოგიური კოლეჯი შეიქმნა 1998 წელს. ორიენტირებულია გარემო პირობების დაცვასა და გაუმჯობესებაზე. ამ მიმართულებით ამზადებს კადრებს შემდეგ სპეციალობებში:
- სასტუმრო და ტურისტული ბიზნესი
- საბაჟო საქმე
- ლანდშაფტის დიზანი
- სამართალი და სოციალური უსაფრთხოება (AMILAT info).
სწავლის ხანგრძლივობა: 1-წელი 10 თვიდან 2 წელი და 10 თვემდე (9-11 კლასის ბაზაზე).
სწავლების ფორმა: დასწრებული და დაუსწრებელი.
ფასიანია სწავლა (AMILAT info).

სოხუმის სამედიცინო კოლეჯი - 1931 წელს სოხუმში გაიხსნა სამედიცინო ტექნიკუმი, რომელშიც 2 წლიანი სწავლება მიმდინარეობდა. 1935 წელს სამედიცინო ტექნიკუმი საექთნო-სამეანო სკოლად გადაკეთდა, რომელიც ამზადებდა ექთნებსა და მეანებს 4 წლიანი სწავლის ხანგრძლივობით. 1955 წელს ეს სკოლა გადაკეთდა სამედიცინო სასწავლებლად, რომელიც ამზადებდა ექთნებსა და მედდებს. ამავე წელს, სოხუმში შეიქმნა მეორე სამედიცინო სასწავლებელი ექთან-ლაბორანტის მოსამზადებელი სპეციალობით. სექტემბერში, 1957 წელს, მოხდა ამ ორი სასწავლებლის შერწყმა და სასწავლებელი გადაკეთდა სოხუმის სამედიცინო სასწავლებლად. 1992-93 წლებში, ომის პერიოდში შეწყვიტა ფუნქციონირება, თუმცა მალევე 1993 წლის ნოემბრიდან განაახლა მუშაობა. 2000 წლის სექტემბერში გადაკეთდა სოხუმის სამედიცინო კოლეჯად (AMILAT info).

ამჟამად ამზადებს კადრებს შემდეგ სპეციალობებში:
- საექთნო საქმე
- სამკურნალო საქმე
- სტომატოლოგია და ორთოპედია
- სამეანო საქმე
- ლაბორატორიული საქმე
- სააფთიაქო საქმე
- სანიტარია და ჰიგიენა (AMILAT info).
სწავლის ხანგრძლივობა: 2-წელი 10 თვიდან 4 წელი და 10 თვემდე (9-11 კლასის ბაზაზე).
სწავლების ფორმა: დასწრებული.
ფასიანია სწავლება (AMILAT info).

ISSN 1512-1801

ტყვარჩელის ჰუმანიტარულ-სამრეწველო კოლეჯი 2003 წელს შეიქმნა, სადაც სტუდენტები პრაქტიკულ და თეორიულ სწავლებას ეუფლებიან შემდეგ სპეციალობებში:
- დაწყებითი კლასების მასწავლებელი
- მშენებელ-ტექნიკოსი
- ავტომექანიკოსი (AMILAT info).

სწავლის ხანგრძლივობა: 3-წელი და 10 თვე (9-11 კლასის ბაზაზე).
სწავლების ფორმა: დასწრებული.
სწავლა ფასიანი (AMILAT info).

გაგრის სამედიცინო სასწავლებელი 1994 წელს გაიხსნა. როგორც სასწავლებლის წარმომადგენლები აცხადებენ ამ სასწავლებლის ბევრმა კურსდამთავრებულმა უმაღლესი სამედიცინო განათლება შემდგომ რუსეთში მიიღო და დღეს მუშაობენ რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის და ისრაელის კლინიკებში (AMILAT info).

სასწავლებელი ამზადებს კადრებს შემდეგ სპეციალობებში:

- მედდა
- ექთანი
- ფარმაცევტი
- დიეტოლოგი
- ლაბორანტი
- მასაჯისტი (AMILAT info).

სწავლის ხანგრძლივობა: მედდის სპეციალობაზე 2,5 წელი. ექთნის - 3 წელი (11 კლასის ბაზაზე).
სწავლების ფორმა: დასწრებული.

სწავლა ფასიანია (AMILAT info).

ა.ჩ. ჩიჩბას სახელობის სოხუმის მუსიკალური სასწავლებელი 1930 წელს შეიქმნა და ამზადებს მუსიკოსებს შემდეგი მიმართულებებით:

- ფერტეპიანო
- კლასიკური მუსიკა
- საესტრადო მუსიკა
- სიმებიანი, ჩასაბერი და ხალხური ინსტრუმენტები
- დირიჟორობა (AMILAT info).
- თეორიული განყოფილება - თეორიული საგნების პედაგოგი

სწავლის ხანგრძლივობა: 4 წელი (9-11 კლასის ბაზაზე).
სწავლების ფორმა: დასწრებული.
სწავლა უფასოა (AMILAT info).

ა.კ. ჩაჩბას სახელობის სოხუმის სამხატვრო სასწავლებელი ატარებს პირველი ცნობილი აფხაზი მხატვრის სახელს (AMILAT info).

სტუდენტები სასწაველებელში ეუფლებიან შემდეგ სპეციალობებს:

- ფერწერა
- ქანდაკება
- ტანსაცმლის დიზაინი
- მხატვრული კერამიკა (AMILAT info).

სწავლის ხანგრძლივობა: 3 წელი (9-11 კლასის ბაზაზე).

ISSN 1512-1801

სწავლების ფორმა: სრულ განაკვეთიანი.
სწავლა უფასოა (AMILAT info).

სოხუმის კულტურის სახელმწიფო სასწავლებელი დაფუძნდა 1956 წელს, როგორც თბილისის კულტურულ-საგანმანათლებლო სკოლის ფილიალი. ომის შემდგომ, შეიცვალა სახელწოდება და გარდაიქმნა სოხუმის კულტურის სახელმწიფო სასწავლებლად (AMILAT info).

სასწავლებელი ამზადებს კადრებს შემდეგ სპეციალობებში:

- ხალხური სამხატვრო შემოქმედება
- საორკესტრო გუნდის ხელმძღვანელი
- ხალხური ინსტრუმენტები
- ქორეოგრაფია (AMILAT info).

სწავლის ხანგრძლივობა: 3 წელი (9-11 კლასის ბაზაზე).
სწავლების ფორმა: დასწრებული.
სწავლა უფასოა (AMILAT info).

უმაღლესი განათლება

აფხაზეთის უმაღლესი განათლების სისტემა წარმოდგენილია ორი უნივერსიტეტით: აფხაზეთის „სახელმწიფო უნივერსიტეტითა“ (АГУ) და სოხუმის ღია უნივერსიტეტით (СОУ).

აფხაზეთის „სახელმწიფო უნივერსიტეტი“ დაარსდა 1979 წელს სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე. მისი პირველი რექტორი იყო ზურაბ ანჩაბაძე. სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის მიზანი რომელიც 1932 წელს გაიხსნა იყო სკოლის მასწავლებლების მომზადება. შემდგომ წელს (1933) გარდაიქმნა მაქსიმ გორკის პედაგოგიურ ინსტიტუტად (The Chamber of Commerce and Industry of the Republic of Abkhazia 2016).

თავდაპირველად, სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ორი კათედრა არსებობდა, რომლებიც, ძირითადად, პედაგოგიურ კადრებს ამზადებდა. შემდგომ წლებში ინსტიტუტს სხვა სპეციალობებიც დაემატა და 1960-იანი წლების დასაწყისისთვის პედაგოგიური ინსტიტუტი იქცა წამყვან საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცენტრად, სადაც სასწავლო პროცესი ქართულ, აფხაზურ და რუსულ ენებზე წარმოებდა. 1979 წელს სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი ჩამოყალიბდა, როგორც აფხაზეთის (სოხუმის) უნივერსიტეტი (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2016).

1989 წლის ცნობილი პოლიტიკური მოვლენების შემდეგ, აფხაზეთის (სოხუმის) უნივერსიტეტს გამოეყო ქართული ნაწილი, რომელიც აფხაზეთის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა უმრავლესობას აერთიანებდა. 1989 წლის 14 მაისს უნივერსიტეტის ქართული ნაწილის ბაზაზე ჩამოყალიბდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი, რომელმაც 1993 წლიდან ქ. თბილისში გააგრძელა ფუნქციონირება (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2016).

ხოლო, სოხუმში აფხაზეთის „სახელმწიფო“ უნივერსიტეტი განაგრძობს ფუნქციონირებას, რომლის საქმიანობა ხორციელდება ე.წ. „აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულების“ და სხვა ადგილობრივი ნორმატიული აქტებით.

ISSN 1512-1801

უნივერსიტეტი ახორციელებს უმაღლესი განათლების პროგრამებს სწავლების დასწრებული და დაუსწრებელი ფორმებით. სწავლება ხორციელდება „სახელმწიფო“ საგანმანათლებლო სტანდარტებით, რომელსაც საფუძვლად რუსული სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტები (Абхазский Государственный Университет 2016, 3-4).

სწავლების პირველი საფეხური არის ბაკალავრიატი, რომლის დამთავრების შემდეგაც სტუდენტს ენიჭება ბაკალავრის ხარისხი. ხანგრძლივობა 4 წელია. ამ 4 წლის შემდეგ ბაკალავრს შეუძლია სწავლა განაგრძოს მეორე საფეხურზე - რაიმე კონკრეტულ სპეციალობაზე (1 წელი) ან მაგისტრატურაზე (2 წელი). ამ უმაღლესი საფეხურის დასრულების შემდეგ სტუდენტენს შეუძლია სწავლა განაგრძოს ასპირანტურასა (3 წლიანი პროგრამა) და ამის შემდგომ დოქტორანტურაზე (3 წელი) (Абхазский Государственный Университет 2016, 4).



წყარო: „ Абхазский Государственный Университет“ - ის ვებ-გვერდი.

აფხაზეთის „სახელმწიფო“ უნივერსიტეტში სწავლა მიმდინარეობს აფხაზურ, რუსულ და სომხურ ენებზე (Абхазский Государственный Университет 2013, 4).

აფხაზეთის „სახელმწიფო“ უნივერსიტეტში მიიღებიან აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეები, მათი მოქალაქეობრივი კუთვნილების მიუხედავად. პირველ უმაღლეს საფეხურზე (ბაკალავრიატზე) მიიღებიან ის სტუდეტები ვისაც აქვთ სახელმწიფო საშუალო (სრული) ზოგადი და საშუალო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი. ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო საფეხურზე მიღება ხორციელდება კონკურსის წესით (Абхазский Государственный Университет 2013, 7).

ამჟამად, უნივერსიტეტში სწავლება მიმდინარეობს 8 ფაკულტეტზე: ფიზიკა-მათემატიკის, ბიოლოგია-გეოგრაფიის, ფილოლოგიური, ისტორიული, იურიდიული, ეკონომიკური, პედაგოგიური და აგროინჟინერიის (Абхазский Государственный Университет).

დაახლოებით 3 000 სტუდენტი სწავლობს უნივერსიტეტში 36-ზე მეტ მიმართულებასა და სპეციალობაზე (Абхазский Государственный Университет 2013, 4).

<u>სასწავლო ფაკულტეტები და მიმართულებები</u> შემდეგია:

ISSN 1512-1801

ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი :

- გამოყენებითი მათემატიკა და ინფორმატიკა
- მათემატიკური ანალიზი
- ზოგადი ფიზიკა
- ტექნიკური ფიზიკა

ბიოლოგია-გეოგრაფიის ფაკულტეტი:

- ტურიზმი
- გეოგრაფია
- მედიცინური ბიოქიმია
- ბიოლოგია
- ქიმია

ისტორიის ფაკულტეტი:

- რუსეთისა და საზღვარგარეთის ქვეყნების ისტორია
- აფხაზეთის ისტორია, არქეოლოგია და ეთნოლოგია
- საერთაშორისო ურთიერთობები

იურიდიული ფაკულტეტი:

- სამართალი

პედაგოგიური ფაკულტეტი:

- ფსიქოლოგია და პედაგოგიკა
- დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა
- ფიზიკური აღზრდა

ფილოლოგიური ფაკულტეტი:

- აფხაზური ენა და ლიტერატურა
- აფხაზური ენა არააფხაზურ სკოლაში
- აფხაზოლოგია
- რუსული ენა და ლიტერატურა
- ინგლისური ენა
- ჟურნალისტიკა
- გერმანული ენა
- რუსული და საზღვარგარეთის ლიტერატურა

ეკონომიკის ფაკულტეტი:

- ეკონომიკა
- მენეჯმენტი
- ფინანსები და კრედიტი
- ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი
- ნაციონალური ეკონომიკა

აგროინჟინერიის ფაკულტეტი:

- აგრონომია
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და გადამუშავების ტექნოლოგია

ISSN 1512-1801

- ელექტრომომარაგება
- ტექნოლოგიური სისტემები აგრობიზნესში

ხელოვნების განყოფილება:

- დიზაინი (გრაფიკული დიზაინი; კოსტუმების დიზაინი)
- სახვითი ხელოვნება

ზოგადსაუნივერსიტეტო კათედრები

- საბრძოლო მომზადება
- ფილოლოგია და კულტუროლოგია
- პოლიტოლოგია (Абхазский Государственный Университет).

ამჟამად, აფხაზური ინფორმაციით, 450-ზე მეტი პედაგოგი მუშაობს სტუდენტებთან. მათ შორის: აკადემიკოსები, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები, პროფესორები, დოქტორები, დოცენტები (Абхазский Государственный Университет 2013, 5).

უნივერისტეტის რექტორია ალეკო გვარამია (პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერების დოქტორი, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი და ადიღეას საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის აკადემიკოსი) (Абхазский Государственный Университет).

უნივერსიტეტის თანამშრომლები აქვეყნებენ სახელმძღვანელოებს, სასწავლო-მეთოდურ და სამეცნიერო ლიტერატურას. რეგულარულად გამოდის „აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები“, სამეცნიერო კონფერენციის მასალები, გაზეთი „აფხაზეთის უნივერსიტეტი“ (Абхазский Государственный Университет 2013, 5).

უნივერსიტეტში სწავლის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულებს ენიჭებათ შესაბამისი კვალიფიკაცია და იღებენ სახელმწიფო დიპლომს, რომელსაც აღიარებს რუსეთი (Абхазский Государственный Университет 2013, 4).

უნივერსიტეტის პოპულარული სპეციალობები წარმოდგენილი ცხრილის მიხედვით შემდეგია :

3.1.2 Выпуск специалистов из Абхазского Государственного Университета

(человек)

	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
Всего	**381**	**534**	**535**	**749**	**681**	**646**	**545**	**587**
в том числе по факультетам:								
филологический	81	99	94	138	101	113	75	99
экономический	51	104	86	141	99	115	123	122
физико-математический	22	29	28	63	48	40	20	32
юридический	35	60	47	97	101	96	86	93
исторический	44	56	61	76	89	60	68	73
биолого-географический	53	51	68	59	42	45	40	29
педагогический	57	92	82	131	171	129	101	96
агроинженерный	38	43	69	44	30	48	32	43

ISSN 1512-1801

წყარო: „Управление Государственной Статистики Республики Абхазия“ (2015 წლის სტატისტიკა).

<u>სოხუმის ღია ინსტიტუტი,</u> 1997 წელს შეიქმნა აფხაზეთის საზოგადო მოღვაწეებისა და მეცნიერთა მიერ სოხუმში. ინსტიტუტის სასწავლო პროცესი ეფუძნება რუსეთში მიღებულ სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტს. ინსტიტუტი „არასახელმწიფო“ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას წარმოადგენს, რომელსაც აქვს მარტივი და კომპაქტური სტრუქტურა, რომელშიც შედის: დამფუძნებელთა საბჭო, ადმინისტრაცია, აკადემიური საბჭო, დეპარტამენტები, მეთოდოლოგები/მეთოდისტები, რექტორი (პროფესორი ვალერი კვარჩია) (СПР 2017).

ინსტიტუს აქვს ინოვაციური მიდგომა მასწავლებელთა დაქირავების, რომლებთანაც იდება ორ სემესტრიანი კონტრაქტი. ეს მიდგომა, როგორც უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს სწავლის ეფექტურობის გაუმჯობესებას ემსახურება მიზნად. სასწავლო პროცესში ჩართულნი არიან დოქტორის ხარისხის მქონდე ადამიანები და მეცნიერებათა კანდიდატები, ასევე აფხაზეთის დამსახურებული პედაგოგები და მაღალკვალიფიციური სპეციალისტები (СПР 2017).

სოხუმის ღია ინსტიტუტში 9 სპეციალობას შეისწავლიან სტუდენტები: ბუღალტერია და აუდიტი; მსოფლიო ეკონომიკა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები; აგროეკონომიკა; მეწარმეობა; იურისპრუდენცია; საგარეო ეკონომიკური საქმიანობა და საბაჟო საქმე; კურორტისა და ტურიზმის მენეჯმენტი; კომპიუტერულ ტექნოლოგიები ეკონომიკაში; საბანკო საქმე (Sputnik Абхазия 2017).

ინსტიტუტის პოპულარული სპეციალობები წარმოდგენილი ცხრილის მიხედვით შემდეგია:

3.1.3 Выпуск специалистов из Сухумского Открытого института

	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
Всего	**123**	**138**	**138**	**136**	**108**	**140**	**147**	**111**
в т. ч. по специальностям:								
экономика и право	38	30	30	34	25	46	47	42
экономика и управление курортами и туризмом	38	40	42	30	27	39	30	20
мировая экономика и международные экономические отношения	8	12	6	8	5	6	6	5
компьютерные технологии в экономике	-	12	17	13	6	10	5	-
иностранный язык	13	14	12	6	-	-	-	-
таможенное дело	26	30	31	45	36	32	33	27
предпринимательство	-	-	-	-	9	-	10	6
б/учет, аудит и суд.бух.эксп.	-	-	-	-	-	7	16	11

ISSN 1512-1801

წყარო: Управление Государственной Статистики Республики Абхазия (2015 წლის სტატისტიკა).

განსაკუთრებით დიდი ყურადღება ინსტიტუტში ეთმობა აფხაზურ ენასა და ფიზიკურ მომზადებას.

ინსტიტუტს საშუალოდ წელიწადში 900 სტუდენტი ჰყავს, აქედან 90-100 კურსდამთავრებული ყოველ წელს (Шария 2012).

ფუნქციონირებს კარატის, ფეხბურთისა და ჭადრაკის წრეები (Арджения 2017).

აფხაზეთის მესამე ე.წ. პრეზიდენტის, ანქვაბის დროს საუბარი იყო ინსტიტუტის დახურვაზე, რადგან როგორც იგი აცხადება აფხაზეთს არ სჭირდებოდა ორი უმაღლესი დაწესებულება (უმაღლესი განათლებისთვის არადამაკმაყოფილებელი აკადემიური დონით მომუშავე) და მისივე გადაწყვეტილბით, 2012-2013 წელს სტუდებტების მიღება აღარ უნდა მომხდარიყო აქ, მაგრამ საპროტესტო გამოსვლების შემდეგ შეჩერდა დახურვის პროცესი (Шария 2012).

სკოლის გარეშე სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებები

სკოლის გარეშე სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებებიდან აფხაზეთში ფუნქციონირებს ცალკეული სპორტული წრეები, ინტერესის მიხედვით. თუმცა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, აღნიშნული დაწესებულებების ტიპიდან ბიბლიოთეკებია, ყველაზე ცნობილი - „აფხაზეთის რესპუბლიკის ნაციონალური ბიბლიოთეკა“, რომელიც 1921 წელს დაარსდა როგორც სოხუმის ცენტრალური ბიბლიოთეკა. 1926 წელს ცენტრალური საქალაქო ბიბლიოთეკის სტატუსი მიენიჭა (Национальная Библиотека Республики Абхазия им. И.Г. Папаскир).

1980 წელს მიენიჭა ცნობილი აფხაზი მწერლის ივანა პაპასკირის სახელი. როგორც აღნიშნავენ, 1992-93 წლის ომის პერიოდში ბიბლიოთეკის შენობა და წიგნის კოლექციები ძალიან დაზიანდა. 1998 წელს შეიცვალა სახელი და ი. პაპასკირის სახელობის ნაციონალურ ბიბლიოთეკად იწოდა. 2012-დან 2015 წლებამდე კაპიტალური რემონტი უტარდებოდა და 2017 წელს განაახლა მუშაობა (Национальная Библиотека Республики Абхазия им. И.Г. Папаскир).

ბიბლიოთეკა აერთიანებს მკითხველთა ფართო კატეგორიას: სტუდენტებს, მწერლებს, ჟურნალისტებს, მოსწავლეებს და სხვა (Шария 2017).

გარდა აფხაზეთის „ნაციონალური“ ბიბლიოთეკისა, საინტერესოა, მდიდარი, მრავალფეროვანი ლიტერატურით დატვირთული ელექტრონული ბიბლიოთეკაც (აფხაზური ინტერნეტ-ბიბლიოთეკა), რომელიც განკუთვნილია სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის ადამიანებისთვის. ბიბლიოთეკა მოიცავს სხვადასხვა დარგისა და ტიპის გაციფრებულ ლიტერატურას: ისტორიის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის, რელიგიის, ფილოსოფიის, ლინგვისტიკის, ლიტერატურათმცოდნეობის, ფოლკლორის, პოლიტოლოგიის, კონფლიქტოლოგიის, ეკონომიკის, ხელოვნების და ა.შ. შესახებ. მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა საბავშვო ლიტერატურას, სახელმძღვანელოებს, ენციკლოპედიებს, ლექსიკონებს და სხვა. ასევე, სხვადასხვა თემატიკის გარშემო შექმნილ ვიდეო და აუდიო მასალებს. აღნიშნულ მასალებზე წვდომა უფასოა ნებისმიერი დაინტერესებული მკითხველისათვის (Абхазская интернет-библиотека).

ISSN 1512-1801

რა თქმა უნდა, განხილული ორი ბიბლიოთეკის გარდა აფხაზეთში ფინქციონირებს სხვა, ძირითადად, სასწავლო დაწესებულებების ბიბლიოთეკებიც.

„განათლების განვითარება 2017-ის“ პროგრამა

აღნიშნულ ქვე-თავში განხილული იქნება აფხაზეთის განათლების სფეროს განვითარების 2017 წლის პროგრამა, რომელიც შემუშავებულია ე.წ. „ აფხაზეთის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს“ მიერ. პროგრამის განხილვა საშუალებას მოგვცემს უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას დღეს აფხაზეთში, განათლების სექტორში არსებული სირთულეების, საჭიროებების, განათლების მიზნების, ამოცანების შესახებ.

<u>პროგრამის მიზნებში</u> გაწერილია შემდეგი პუნქტები:
- მაღალი ხარისხის განათლების უზრუნველყოფა, რომელიც შეესაბამება საზოგადოების და ეკონომიკის განვითარების ამოცანებს;
- საგანმანათლებლო პოლიტიკის ეფექტურობის ზრდა (Республика Абхазия Кабинет Министров 2017, 1-2).

<u>პროგრამის ამოცანები მოიცავს შემდეგ პუნქტებს:</u>
- საგანმანათლებლო პროგრამების მოდერნიზება, განათლების თანამედროვე ხარისხის მისაღწევად;
- განათლების ხარისხის შეფასების თანამედროვე სისტემის შექმნა;
- საგანმანათლებლო სისტემაში მართვისა და მონაცემების გაზიარების თანამედროვე სისტემის შექმნა;
- პედაგოგიურ პროფესიებზე ყურადღების გამახვილება და მისი მნიშვნელობის გაზრდა აფხაზეთის სოფლებში;
- მოსწავლეების სოციალიზაციის, თვითრეალიზაციის და პოტენციალის განვითარების მიზნით ეფექტური სისტემის უზრუნველყოფა.
- სასწავლო და სასწავლო-მეთოდური ლიტერატურის შემუშავება და დანერგვა (Республика Абхазия Кабинет Министров 2017, 2-3).

<u>პროგრამის რეალიზაციის მექანიზმი</u>

პროგრამის დამკვეთი და კოორდინატორი არის „აფხაზეთის რესპუბლიკის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო“. პროგრამა ხორციელდება ქვე-პროგრამებისა და მათთან დაკავშირებული აქტივობების გზით, რომელიც მიზნად ისახავს საგანმანათლებლო პროგრამების და სახელმძღვანელოების გაუმჯობესებას, განათლების ხარისხის გაუმჯობესებას, განათლების სფეროში მართვისა და მონიტორინგის მეთოდების გაუმჯობესებას, მოსწავლეების პოტენციალის გაზრდისთვის ეფექტური სისტემების უზრუნველყოფას (Республика Абхазия Кабинет Министров 2017, 3).

ქვეპროგრამები:
- ეროვნული სასწავლო-მეთოდური კომპლექსების განვითარების გრანტების პროგრამა;
- განათლების სისტემის ინფორმატიზაცია;
- გრანტების პროგრამა პედაგოგიური მუშაკებისთვის სოფლებში;
- აფხაზეთის რესპუბლიკის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სპორტული ღონისძიებები;
- განათლების მუშაკების პროფესიულ დონეზე დატრენინგება (Республика Абхазия Кабинет Министров 2017, 3).

ISSN 1512-1801

პროგრამაზე კონტროლის ვალდებულება ეკისრება ე.წ. „განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს“ (Республика Абхазия Кабинет Министров 2017, 4).

პროგრამის მოცულობა და ფინანსური წყაროები : 13 868 000 რუბლი, „რესპუბლიკის“ ბიუჯეტიდან (Республика Абхазия Кабинет Министров 2017, 2).

დასკვნა

სტატია მიზნად ისახავდა, დღევანდელი, ოკუპირებული აფხაზეთის განათლების სექტორიში არსებული ვითარების წარმოდგენას. განხილულ იქნა განათლების სფეროს მარეგულირებელი ძირითადი დებულებები, სფეროს მაკონტროლებელი „ოფიციალური“ (თუმცა, მხოლოდ ფორმალური) „ორგანოს“ სტრუქტურა, საქმიანობა. გადმოცემული იქნა ინფორმაცია თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისა (სკოლამდელი, საშუალო ზოგადი, საშუალო პროფესიული და უმაღლესი პროფესიული განათლება) და სკოლის გარეშე სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებების შესახებ. ასევე, განხილულ იქნა გალის რაიონში, განათლების კუთხით, არსებული მდგომარეობა. აქცენტი გაკეთდა აფხაზური მხარის ხედვით, აღნიშნულ სფეროში, არსებული სირთულეების, საჭიროებების, განათლების მიზნებისა და ამოცანების წარმოჩენაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აფხაზური სკოლები რუსული სასწავლო სტანდარტით. 2017. ნეტგაზეთი. ხელმისაწვდომია: http://netgazeti.ge/news/224689/ (29.05.2018).
2. ბასილაია, ე. 2016. აფხაზეთი ქართული ენის გარეშე. რეზონანსი. ხელმისაწვდომია:http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=2&id_artc=28851 (1.06.2018).
3. ზურაბაშვილი, თ. 2016. მშობლიურ ენაზე განათლების შეზღუდვა გალის რაიონში: გამოსავლის ძიებაში. პოლიტიკის დოკუმენტი. საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS). თბილისი. ხელმისაწვდომია: http://grass.org.ge/wp-content/uploads/2016/07/GRASS-ganathlebis-uphleba-galis-raionshi1.pdf (1.06.2018).
4. ისტორია. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2016. ხელმისაწვდომია: https://www.sou.edu.ge/content/2/1/0/0/0 (25.05.2017).
5. 400-მდე მოზარდი საბავშვო ბაღს მიღმა და სწავლება რუსულ ენაზე გალის სკოლებში. 2017. Livepress.ge. ხელმისაწვდომია: http://www.livepress.ge/ka/akhali-ambebi/article/20453.html (29.05.2018).
6. Абхазия в Цифрах за 2015 год. 2015. Управление Государственной Статистики Республики Абхазия. Сухум. ხელმისაწვდომია: http://ugsra.org/abkhaziya-v-tsifrakh/2015-0.pdf (27.05.2018).
7. Абхазия. Национальный информационный центр. ხელმისაწვდომია: http://nic.gov.ru/ru/inworld/countries/Abkhazia (1.06.2018)
8. Абхазская интернет-библиотека. Apsnyteka. ხელმისაწვდომია : http://apsnyteka.org/ (28.05.2018).
9. Абхазский Многоотраслевой Колледж. AMILAT info. ხელმისაწვდომია: http://amilat.info/ru/education/31/6/ (27.05.2018).

ISSN 1512-1801

10. Арджения, Э. 2017. Куда Поступать? Заметки для Абитуриента. ხელმისაწვდომია: http://www.gazeta-ra.info/index.php?ELEMENT_ID=15324 (26.05.2018).
11. Гагрский Гуманитарно-промышленный Колледж им. Кехирипа. AMILAT info. ხელმისაწვდომია: http://amilat.info/ru/education/30/9/ (27.05.2018).
12. Гагрское Медицинское Училище. AMILAT info. ხელმისაწვდომია: http://amilat.info/ru/education/30/8/ (27.05.2018).
13. Галский гуманитарный колледж. AMILAT info. ხელმისაწვდომია: http://amilat.info/ru/education/33/11/ (27.05.2018).
14. Закон Республики Абхазия : О Государственном языке Республики Абхазия. 2007. Том 33. Сухум.
15. Конституция Республики Абхазия. 1994. ხელმისაწვდომია: http://minobr-ra.org/upload/iblock/f5d/f5d3cdb68036232e65e3e092c9c88b70.pdf (29.05.2018).
16. Начался прием документов от абитуриентов в вузы Абхазии. 2017. Sputnik Абхазия. ხელმისაწვდომია: https://sputnik-abkhazia.ru/Abkhazia/20170704/1021388158/nachalsya-priem-dokumentov-ot-abiturientov-v-vuzy-abxazii.html (27.05.2018).
17. О Библиотеке. Национальная Библиотека Республики Абхазия им. И.Г. Папаскир. ხელმისაწვდომია : http://nl-ra.org/o-nas/index.php (25.05.2018).
18. О Министерстве. Министерство Образования и Науки Республики Абхазия. ხელმისაწვდომია: http://minobr-ra.org/ministerstvo/ (29.05.2018).
19. Образование в Абхазии. Сайт Абхазии. ხელმისაწვდომია : http://abkhazia-sait.ru/obshhaja-informacija/447-obrazovanie-v-abhazii.html (30.05.2018).
20. Образование. Сухум-Курорт: Информационный Сайт Абхазии. ხელმისაწვდომია: https://sukhumkurort.ru/2011-05-13-16-44-03.html (1.06.2018).
21. Образование. Сухум-Курорт: Информационный Сайт Абхазии. ხელმისაწვდომია: https://sukhumkurort.ru/169-shkol-raspahnuli-segodnja-svoi-dveri-v-abhazii.html (1.06.2018).
22. Около 3 500 детей пошли 1 сентября в детские сады республики. 2016. ApsnyLIFE. ხელმისაწვდომია: http://apsnylife.ru/novosti/109-novosti/316-okolo-3-500-detej-poshli-1-sentyabrya-v-detskie-sady-respubliki (30.05.2018).
23. Пачулия, Л. 2011. Лицей, Ставший Родным Домом. ხელმისაწვდომია: http://gazeta-ra.info/index.php?ELEMENT_ID=608 (28.05.2018).
24. Постановление об утверждении целовой программы „Развитие Образования - 2017“. 2017. Республика Абхазия Кабинет Министров. ხელმისაწვდომია : http://minobr-ra.org/upload/iblock/9f9/9f9c0fc8b0d5f065c0eef088a3aeadd9.pdf (28.05.2018).
25. Руководство: Гварамия Алеко Алексеевич. Абхазский Государственный Университет. ხელმისაწვდომია:http://agu.site/about_the_university/management/detail.php?ID=78 (26.05.2018).
26. Сухумский Государственный Колледж. AMILAT info. ხელმისაწვდომია: http://amilat.info/ru/education/31/5/ (27.05.2018).
27. Сухумский Гуманитарно-экологический Колледж. AMILAT info. ხელმისაწვდომია: http://amilat.info/ru/education/31/2/ (27.05.2018).
28. Сухумский Медицинский Колледж. AMILAT info. ხელმისაწვდომია: http://amilat.info/ru/education/31/4/ (27.05.2018).

ISSN 1512-1801

29. Сухумский Открытый Институт. 2017. СПР. ხელმისაწვდომია: https://abkhaziya.spr.ru/suhum-i-suhumskiy-rayon/suhumskiy-otkritiy-institut.html (25.05.2018).
30. Сухумское государственное училище культуры. AMILAT info. ხელმისაწვდომია: http://amilat.info/ru/education/31/1/ (27.05.2018).
31. Сухумское Музыкальное Училище им. А.Ч. Чичба. AMILAT info. ხელმისაწვდომია: http://amilat.info/ru/education/31/3/ (27.05.2018).
32. Сухумское Художественное Училище им. А.К.Чачба. AMILAT info. ხელმისაწვდომია: http://amilat.info/ru/education/31/7/ (27.05.2018).
33. Справочник для Поступающих в Абхазский Государственный Университет. 2013. Абхазский Государственный Университет. ხელმისაწვდომია: file:///C:/Users/Home/Downloads/SPRAVOCHNIK_AGU_PECHAT%20(3).pdf (1.06.2018).
34. Стратегия Социально-экономическог о Развития Республики Абхазия до 2025 г. 2015. Центр Стратегических Исследований при Президенте Республики Абхазия. Сухум. ხელმისაწვდომია: http://ru.abkhaziastrategic.org/wp-content/uploads/2015/12/Strategia-Abkhazia-2025.pdf (30.05.2018).
35. Ткуарчалский Гуманитрно-промышленный Колледж. AMILAT info. ხელმისაწვდომია: http://amilat.info/ru/education/32/10/ (27.05.2018).
36. Факультеты Абхазского Государственного Университета. Абхазский Государственный Университет. ხელმისაწვდომია: http://agu.site/about_the_university/departments/ (1.06.2018).
37. Шария, В. 2012. Вопрос об Открытом институте остается открытым. Эхо Кавказа. ხელმისაწვდომია: https://www.ekhokavkaza.com/a/24583416.html (27.05.2018).
38. Шария, В. 2017. Абхазская национальная библиотека открылась после пятилетней реконструкции. ხელმისაწვდომია : https://www.ekhokavkaza.com/a/28523226.html (28.05.2018).
39. Abkhazian State University. 2016. The Chamber of Commerce and Industry of the Republic of Abkhazia. ხელმისაწვდომია: http://www.tppra.org/en/news/abkhazian-state-university (29.05.2018).

გამოყენებული ცხრილების რაოდენობა - 5; გრაფიკი - 2

Article received 2018-06-12